15

საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის
მერია
სარეგისტრაციო № 01/2580
10 08 2020
ფურცლების რ-ბა 3

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრს ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა შპს ,,აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"-ს გენერალურმა დირექტორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ შპს ,,ბ&ნ მედის" 100%-იანი წილისა და შპს ,,ჰელს ქეარ გრუპის" 50%-იანი წილის მფლობელია და ბანკი ქართუს მხარდაჭერით ახორციელებს ინვესტიციებს. ასევე საქართველოს მთავრობის 2019 წლის N2112 განკარგულებით აქვს ვალდებულება სენაკში ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთათვის საცხოვრისის შექმნის, რისთვისაც ითხოვა შუამდგომლობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი N44.01.25.018) გადაცემაზე, სადაც შეიქმნება ევროპული სტანდარტების მქონე, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფარი (საცხოვრისი) და პაციენტებს ადგილზე მიაწოდებს სათანადო სერვისებს. ეს ჩვენის მხრიდან მისასალმებელია, ვინაიდან მოსახლეობას ადგილზე იქნება აღნიშნული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა, ასევე გამოიწვევს ათეულობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სენაკის მუნიციპალიტეტში ადრეულ წლებში ამავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა ანალოგიური პროფილის დაწესებულება და მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით იგი მომსახურებას უწევდა არა მარტო სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, არამედ რეგიონის მასშტაბით მცხოვრებ მოწყვლად ჯგუფებს. ეს შენობა წლებია უფუნქციოა, ნადგურდება და უახლოეს მომავალში გამოსაყენებლად უვარგისი იქნება.

აქვე გაცნობებთ, რომ სენაკში ფუნქციონირებს სახელმწიფოს 100%-იანი წილით შექმნილი შპს ,,სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N44.01.25.106), რომლის შპს ,,ბ&ნ მედი"-სათვის სახელმწიფოსათვის მისაღები ფორმითა და ურთიერთვალდებულებებით გადაცემის შემთხვევაში, კომპანია მზად არის განახორციელოს ინვესტიცია, გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სენაკში შექმნას ევროპული სტანდარტების შესაბამისი ფსიქიატრიული დაწესებულება, სადაც შეიქმნება პაციენტებისათვის ხელსაყრელი გარემო და დამატებით ახალი სამუშაო ადგილები. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში ჩინეთის მთავრობის მიერ აღებული ვალდებულების შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფილის საავადმყოფოების აშენება თელავსა და სენაკში, რის საფუძველზეც, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 13 ივნისს შედგა შეხვედრა სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში, სადაც ჩინური მხარის წარმომადგენლების მიერ განხორციელდა პროექტის პრეზენტაცია. თუმცა ამის შემდეგ მათი მხრიდან რაიმე სახის რეაგირებას ადგილი არ ჰქონია.

მუნიციპალიტეტის მერიამ შუამდგომლობით მიმართა სსიპ-სახელმწიფო ქონების სააგენტოს, რათა შპს ,,ბ&ნ მედ"-სა და შპს ,,ჰელს ქეარ გრუპ"-ისათვის აუქციონის ფორმით გადაეცათ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N44.01.25.018, N44.01.25.106).

სააგენტომ 29.07.20წ. N6/40460 წერილით გვაცნობა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების განკარგვის საკითხი, ვინაიდან უძრავი ქონება, N44.01.25.018

4	AP01007684425	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ეკატერინე ტიკარაძეს	11.08.20 საქართველო თბილისი აკ.წერეთლის გამზ.#144	01/2580	წერილობითი კორესპონდენცია	1	I კლასის წერილი	0.025	3.23

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N44.01.25.018, N44.01.25.106).

სააგენტომ 29.07.20წ. N6/40460 წერილით გვაცნობა, რომ მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების განკარგვის საკითხი, ვინაიდან უძრავი ქონება, N44.01.25.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროზე, ხოლო N44.01.25.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, წილობრივად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია შპს ,,სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრზე" (წერილს თან გირთავთ).

გთხოვთ თქვენს დახმარებას, ზემოაღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

პატივისცემით,

მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი

შეთანხმებულია: გრიგოლ ბაღათურია

ჯულიეტა ჩოჩია

ვიზირებულია რამაზ კუპრეიშვილი

შემსრულებელი

17

KA021704447701220

ბ-ნ გ. ბაღათურიას

ქ-ნ ჯ. ჩოჩიას

გთხოვთ განიხილოთ

მუნიციპალიტეტის მერი

ლევანი კუპრეიშვილი

29.07.2020.

ქონების ... სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

...ვჭავაძის გამზ.49ა
...32)2 98 11 11
...sp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

29 / ივლისი / 2020 წ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ.
ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს
მის: ქ. ხონი, ქუტირი

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილი თქვენი 2020 წლის 23 ივლისის № 01/2331 (სააგენტოში რეგ. #69590/07) წერილის პასუხად, რომლითაც შუამდგომლობთ შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს ქალაქ სენაკში, ფურცელაძის ქუჩაზე, ჩიხი I, #8-ში მდებარე 4202 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების (საკ. კოდი #44.01.25.018) და ქალაქ სენაკში, პ. კობახიძის ქუჩა #9-ში მდებარე 17324 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობების (საკ. კოდი #44.01.25.106) პრივატიზების თაობაზე გაცნობებთ, რომ #44.01.25.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით გადაცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე. ხოლო, #44.01.25.106 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება წილობრივად საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ასევე შპს „სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრზე“.

ამდენად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების განკარგვის საკითხი.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებული პირის მიერ შემდგომში სხვა ალტერნატიულ ქონებაზე დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის შემცველი განცხადების წარმოდგენის შემთხვევაში, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მზადაა განიხილოს შემოთავაზებული საინვესტიციო წინადადებები.

აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებას და არ წარმოშობს შემჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას.

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

იოსებ ოქრომელიძე

საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის
მერია
სარეგისტრაციო № 01/3262
29 07 2020 წ
ფურცლების რ-ბა

შე.№178
30.07.2020